დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2024 წლის 29 აპრილის N 46 „ო“ ბრძანებით

სსიპ:კოლეჯი„ერქვანის“შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს მიზანია დაიცვას სასწავლებლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა თანამშრომელი, ვიზიტორი და ა.შ. უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო გარემოთი, თავიდან აიცილოს და დაიცვას ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები ყველა ოპერაციის/სამუშაოს დროს. შესაბამისად, სასწავლებელი: ყველა თანამშრომლისა და სტუმრისგან მოითხოვს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ვალდებულებების შესრულებას და სისტემატურად ამოწმებს მათ შესრულებას.

პერიოდულად აფასებს, განსაზღვრავს და აღკვეთს ჯანმრთელობაზე და შრომის უსაფრთხოებაზე უარყოფით ზემოქმედებას და განაგრძობს პრევენციული ღონისძიებების გატარებას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ასპექტს
რეგულარულად აცნობებს თანამშრომლებს და ყველა შესაბამის მხარეს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მიზნებსა და პროცედურებს.

პერიოდული სწავლებების მეშვეობით თანამშრომლებს ეხმარება გაითავისონ სამუშაოს შესრულებისას მათ მიერ შესასრულებელი ვალდებულებები, მათ შორის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებების, პასუხისმგებლობებისა და ანგარიშ ვალდებულების შესახებ.

მართავს და უზრუნველყოფს სასწავლებლის სამუშაოებს, რათა უზრუნველყოს თანამშრომლების, მომწოდებლებისა და სტუმრების ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების დაცვა.

აძლევს მითითებებს სასწავლებლის ტერიტორიაზე მყოფ ყველა პირს კომპანიის ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების წესებთან და პროცედურებთან დაკავშირებით.

მზადაა გადაუდებელი სიტუაციებისა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის და უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტურ რეაგირებას ნებისმიერი სახის უბედურ შემთხვევებსა და ინციდენტებზე.
სისტემატურად მიმოიხილავს და იღებს შესაბამის ზომებს შრომის უსაფრთხოების გეგმასთან და მის ეფექტურობასთან დაკავშირებით.

სასწავლებლის თანამშრომლები პასუხისმგებლები არიან საქმიანობის განახორციელებისას იხელმძღვანელონ სასწავლებლის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შესაბამისად. ყველა თანამშრომელს შეაქვს საკუთარი წვლილი შრომის უსაფრთხოების დანერგვისას.
სსიპ კოლეჯი „ერქვანი“-ს მიზანია აამაღლოს სასწავლებელში შრომის უსაფრთხოების კულტურა და ზრუნავს მის მუდმივ განვითარებაზე, რათა დასაქმებულმა და სამუშაო სივრცეში მყოფმა ყველა პირმა იზრუნოს როგორც საკუთარ, ისე სხვა პირების უსაფრთხოებაზე.